ფასი 10 კაპ.

იუმორისტული ჟურნალი

# ეშმაკის მათრახი



№ 5

## სიმღერა „გულივერისა“

დუმის კარებს ჩასდგომია
ჩვენი ქვეყნის ,,გულივერი“
და დასცქერის ,,ლილიპუტებს“
პირ მცინარე, ლმობიერი.
ამბობს: ,,დუმა ამის დარი
ქვეყანაზე არსად არი!
ყველა ,,რუსი ჭეშმარიტი“
კრამოლისგან განარიდი!
ხელში კეტი! თავში რეტი!
სხვა რა გვინდა ამის მეტი.
ერდგულებას შემოგვფიცებს
ხარჯებს სრულად დაგვიმტკიცებს
ამათ სიუმეს ვენაცვალე,
როგორც იქნა გადავთვალე!.
მემარჯვენე ზომიერი,
ურევია მეტად ბევრი.
მღვდლებიც ბლომათ ვინახულე.
ბევრი არის მემამულე,
(დღეს ,,ზუბრებს“ რომ ეძახიან)
ჩემს ლაჯებში მიძვრებიან.
აი დუმა სასურველი!
კეთილს მისგან გამოველი,
მოდით ჩემო ჭუჭულებო“
და მოუსვა თავზე ხელი.

№

საქართველოს სახელმწიფო ... თბილისი



ჩვენი დროის ,,გულივერი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ახალი ამბავი.

„ბერლინერ ტაგებლატ“-ში ვკითხულობთ: „ბერლინის უნივერსიტეტის სენატმა გადასწყვიტა: ორდინარ პროფესორათ პოლიტიკური ეკონომიის კათედრაზე მიიწვიოს ახალგაზრდა*) ქართველი მეცნიერი „ჰალარა.“

პროფესორმა ზომბარტმა, სმიტისა, რიკარდოსა და მარქსის შემდეგ უდიდეს ეკონომისტათ აღიარა ბ-ნი „ჰალარა.“

ცნობილმა ბროკგაუზმა 120000 მარკათ შეიძინა მისი შესანიშნავი ,,წინასიტყვაობის“ გამოცემის უფლება. და ამასთანავე მიანდო არტურ ლეისტს დაუყონებლივ გადათარგმნოს და დეპეშით გადასცეს მას ყოველი სიტყვა ბ-ნი ,,ჰალარას“ კალმის ქვეშ გამონადენი. ,,მზე ყოველთვის აღმოსავლეთიდან ამოდისო!!“ დასძენს გაზეთი.

*
* *

12 ოქტომბერს საღამოთი, სამოთხეში მშვიდობით ჩასულა გაზეთი „ჩვენი გზა.“ იქაური საზოგადოება დიდის ამბით შეგებებია რკინის გზის სადგურზე.

*
* *

როგორც გავიგეთ თფილისის რკინის გზის სადგურზე მოსამსახურე, რომელიც ხმითა დიდითა აუწყებს მგზავრებს მატარებლის წასვლას, ამ მქუხარე ხმისათვის ქართულ დრამატიულ დასს სუფლიორათ მიუწვევია. თუ სტოროჟმა თანხმობა გამოაცხადა საჭირო იქნება ქართული ენის მასწავლებელი, მ გრამ უთუოდ ფედერალისტი.

*) ცხადია ქართულის უცოდინარო’ას შეცდომაში შეუყვანია ბერლინის მეცნიერები, თორემ ფსევდონიმზე მიხთებოდენ, რომ ახალგაზრდობა კარგა ხანია მოიჭამა მცხოვანმა ანუ მცოხნავმა ქართველმა ეკონომისტმა და თუ დღემდე არსად დაუბეჭდია თავისი ნაწარმოები ანუ ნაწამები, ეს რევოლიუციის ბრალი იყო.



## მათრახის კუდი.

**„ჰალარას“.** ასეთი ახირებული ვითარება ქართულ მწერლობას ჯერ არ გამოუცდია: რომელი მატრაკვეცა გინდა „ისტორიული“, გინდ არა ისტორიული, ამ უმუშევრობის დროს ქართულ მწერლობას მოაწყდა და საერთო არეულობის მეოხებით ისეთ-ისეთ აზრებს შეაცურებენ ხოლმე მკითხველებ შორის, რომელსაც სხვა დროს ვერ გაბედავდენ.

ყოველივე ეს სავსებით ითქმის ბ-ნ „ჰალარაზე“, რომელმაც საოხუნჯო გაზეთ „ეკალში“ **„სახალხო პოლიტიკურ ეკონომიაზე“** დაიწყო წერა, თუ კი შესაძლებელია ჯღაბნა არ ითქვას.

ეს მამაცხონებული თუ ოხუნჯობს, რატომ საოხუნჯო კილოზე არა სწერს და თუ „სერიოზულათ“ ჰქმნის სირცხვილის გრძნობა რა უყო!! როგორც ფსევდონიმი გვიჩვენებს ის უწლოვანი არ უნდა იყოს და თუ მართლა ჰალარამ შემოსა მისი „ეკონომიის“ ჭურჭელი, რატომ დღემდე არავისა სმენია რაიმე შესახები მათი ეკონომსტობისა?!

ჩვენ ვუსაყვედურეთ მეტიჩარა „ჰალარა“ს ასეთი უსირცხვილობა და ვგონებ გასჭრას დარიგებამ, რადგან „წინასიტყვაობის“ მეტი ჯერ არაფერი სიბრძნე გადმოულაგებია და მიუხედავათ თავისი მანიაკური მიდრეკილებისა, იმედი გვაქვა ჩვენი ,,მათრახის“ ხათრით თუ შიშით შემდეგშიაც ხელს აიღებს ქართველი მკითხველის **ყურადღების** ექსპლოატაციაზე.

ბ-ნი ,,ჰალარას“ ,,პოლიტიკური სახალხო ეკონომია“ ეს იგივე იქნება, ილია ნაკაშიძემ რომ „Критика чистаго разума“ დასწეროს;

ბ-ნი ,,ჰალარას“ ,,სახალხო პოლიტიკური ეკონომია“ ეს იგივე იქნება გიორგი გვაზავამ რომ ახალი ,,ვეფხის ტყაოსანი“ დასწეროს.

ცხადზე უცხადესია, რომ ილია ნაკაშიძის „ЧИСТЫЙ РАЗУМЪ“ ეს აზრთა ხაოსი იქნება; გიორგი გვაზავას ,,ვეფხვის ტყაოსანი“ არა უმეტეს ,,კატის ტყაოსნისა“, ხოლო ,,ჰალარას“ ,,სახალხო ეკონომია“ მარტო ოდენ ,,სალაყბო ეკონომია“.

ჩვენი აზრით ,,სახალხო ეკონომიის“ დასაწერათ მარტო ის არა კმარა, რომ ქართული ანბანი ჰიე და ჰოიემდე იცოდე, ან ,,სტილ გივარგოდეს, ან საკუთარი ორგანო და ამგვარათ ბეჭდვის საშუალება გქონდეს. გადაჭრით არ ვიტყვით, მაგრამ ისე კი ვფიქრობთ, რომ ცოტაოდენი ცოდნაც იქნება საჭირო.

შეიძლება ბ-ნი ,,ჰალარა“ იმას ფიქრობს, რომ რაკი **,,სახალხოა“** პოლიტიკური ეკონომია მის დაწერას ცოდნა და ნიჭი არ სჭირიაო?!

დიახ... ჩვენს დროში ყველაფერი შეიძლება და ამიტომ საწყენი არ უნდა დარჩენ ბ-ნ ,,ჰალარის“ თუ მის ჰალარით შემოსილ უმეცრებას ოდნავ ჩვენი მათრახის კუდი გავკრათ.

,,სწავლა კაცს სიბერემდე არ მოსჭარბდება“!!

**ეშმაკი.**



## სიზმრის ახსნა.

1) **ბაყაყი ნახო ხარისა ბაძით ბლავილად განმზადილი, მეტისა განბერვითა სკდებოდეს.** —საცინელია: სანახაობა ამა სიზმრისა მარად ჟამს საცინელია, ხოლო მწერლობისა წილ მოასწავებს მოხუცსა რომელიმეს ,,ჰალარად“ წოდებულსა ,,სახალხო ეკონომიის“ წერად მჯდომარესა, რომლისა თვით-განდიდებასა არა აქვს დასასრულ.

2) **მოსწავლე იხილო გაკვეთილისა ვაგლახად მოუბარი.** —ავია: სიზმარი ესე ახდების ხშირად და ჟამსა ყოველსა მოასწავებს სცენისა ქართულისა მსახიობთა თამაშსა, რომელთა როლი თავისი აროდეს იციან და აცქვეტილთა სასმენელთა თვისთა ორგანოთა სუფლიორისა წილ მიიპყრობდიან.

**ხონისათვის.**

3) **მიხაკო ბახტაძე იხილო დილას ,,ერთობას“ ეტრფოდეს, ხოლო საღამოს ჩხიკვიშვილის მოურავად ქცეული.** —კეთილია: სანახაობა ესე მარადის კეთილად ახდების და ინტერესი მემამულისა დასაცველ გაგიხდების.

4) **კრუხ-მამალი ნახო წიწილებითა გარემოცული ჰანგსა ზედა ნ ფედერატიულსა მოკაკანე.** — კეთილია: ყოველთა ჟამთა შინა სანახაობა ესე მოასწავებს სემენარიასა ხონისასა.

5) **„ნოვი-სვეტი“ იხილო** — ავია: ჟამსა რომელსა იხილო სიზმარი ესე, გმართებს სიფრთხილე ფრიადი, რამეთუ გადაეყარო ჯგუფსა აღჭურვილსა კეტებითა ზურგთა ზედან სავარჯიშოთ.

6) მემამულე **იხილო ჩხიკვიშვილი, წისქვილისა ქვების მაძებარი** — ავია: სიზმარი ესე ახდების ფრიად ავად, რამეთუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მემამულემან და სტუდენტმა ძემან მისმან მიავლინონ ჯიხაიშათ ზეკუცია მცხოვრებთა სავალალოთ.

7. **აბლაკატი იხილო ქუთათელაძე** — ავია: მოასწავებს საქმის წაგებას და ჯიბისა შენისა ცარიელ ქმნას.

---

## ,,დეპუტაცია‘‘.

დეპუტატები გახლავართ
სულ ახალი ჯიშისათ,
„გურიამ‘‘ გამოგვაგზავნა
ერმოლოვი მიდისათ.
,,ხალხი‘‘ მწარეთ იცრემლება...
გლოვობს მამას მშობელსათ,
უიმისოთ რაღას ვაქნევთ
ბედკრულ წუთისოფელსათ.
ნამესტნიკთან არზა მოგვაქვს:
ყველა აწერს ხელებსათ,
,,დაგვიბრუნონ ერმოლოვი
ნუ დაგვჭრიან ყელებსათ‘‘.
არც თითონ ჩვენ გვეცხოვრება
დაყურსულებს ვალითათ,
ნაჩალიკი ამის ფასი
არც გვინახავს თვალითათ.
მოვა დრო და გაბრწყინდება
კვლავ აღსდგება სიმართლეო,
და ჩვენს ნაღვაწ-ნამოქმედარს
გააშუქებს სინათლეო.
,,დეპუტატები‘‘ გახლავართ:
ნიკო, გრიგოლ, დავითათ,
ერმოლოვს დავენაცვლებით
ოჯახით და თავითათ.

გზირი.

---



## გუშინ და დღეს

„Гдѣ столъ былъ явствъ, гробъ стоитъ!“

**გუშინ.** — „A gauche!“ („მარცხნივ!“)
**დღეს.** — „A droit!“ („მარჯვნივ!“)
**გუშინ.** — მინდორი და მოედანი.
**დღეს.** — თავვის სორო.
**გუშინ.** — ქადაგი.
**დღეს.** — მუნჯი.
**გუშინ.** — „ბლუზი“.
**დღეს.** — მუნდირი.
**გუშინ.** — „გაუმარჯოს ხალხს!“.
**დღეს.** — „ისევ მთავრობას ენაცვალოს ჩვენი თავი!“
**გუშინ.** — „შვილები არ დამეხოცოს, მეც სოციალ დემოკრატი ვარ!“.
**დღეს.** — „გასწყდეს მაგათი სინსილა, სულ მაგათ აურიეს ქვეყანა!“.
**გუშინ.** — „უჰ, რამოდენა ხალხი იყო მიტინგზე!“.
**დღეს.** — „რვა თუმანი მოვიგე „ლოტოში!“.
**გუშინ.** — „მიწების ნაციონალიზაცია“.
**დღეს.** — „თავადთ-უსტროიტელნი კომისსია“.
**გუშინ.** — „პოლიტიკა, „აგრარული კითხვა“, „მუშები და მათი მდგომარეობა“...
**დღეს.** — ქალების კორსეტი და ვუალები, „половой вопросъ“, „экскурсіи въ ботаническій садъ“...
**გუშინ.** — სპირიდონოვა, მარიაზოვის, შმიდტის... ბიოგრაფია და სურათები.
**დღეს.** — ბაგრატიონ დავიდოვისა და მელიქოვისა.
**გუშინ.** — „Возрожденіе“.
**დღეს.** — „Закавказье“.
**გუშინ** — Кора.
**დღეს.** — Яло.
**გუშინ.** — „ერთობა“.
**დღეს.** — „руки вверхъ!“.
**გუშინ.** — პოლიტიკური ტერორი.
**დღეს.** — მანათიანი მკვლელები.
**გუშინ.** — „წითელი რაზმელები“.
**დღეს.** — შავ რაზმელები.
**გუშინ.** — ნახალოვკა“.
**დღეს.** — სოლოლაკი.
**გუშინ.** — სოციალისტ-ფედერალისტები.
**დღეს.** — „ჭეშმარიტ ქართველნი“.
**გუშინ.** — რამიშვილი, ჟორდანია, ხრუსტალიოვ, გერშუნი.
**დღეს.** — კრუშევან, პურიშკევიჩ, დუბროვინ, „Bäton“-ი.
**გუშინ** — „სანამ შტიკებით არ გაგვრეკავენ, ფეხს არ მოვიცვლით აქედან!“.
**დღეს.** — „რეალური პოლიტიკა“, „ოქტომბრისტებზე“ ჯვარის დაწერა.
**გუშინ.** — უნივერსიტეტის ავტონომია.
**დღეს.** — პოლიციის დეპარტამენტი: პროფესორ-„გოროდოვოები“, რექტორ-„აკალოდოჩნიკები‘‘.
**გუშინ.** — ,,ათისთავი‘‘, ,,ასისთავი‘‘...
**დღეს.** — ოსი მამასახლისები და ინგუში სტრაჟნიკები.
**გუშინ:** — ,,დემოკრატიული რესპუბლიკა!‘‘.
**დღეს.** — ,,ახ, ნეტა წინანდელი ,,საოლდერჟავიე‘‘ დაგვიბრუნონ! ხოლერას გაუძლოთ თუ ამ ,,კონსტიტუციას?!‘‘.

**ნ. აზიანი.**

---

## გაცოცხლდა ბოიკოტი!

(სცენა მელექედურში)

**სიმონიკა.** პეტრეს ღმერთმა გუუმარჯოს!

**პეტრიე.** სიმონს ვახლავარ კრილოვის ჯარით!

**სიმონიკა.** აი კაი ქენი კრილოვის ჯარი რომ გამახსენე. კი იტყოდენ მეორე მოსლის ხანს მკტრები ადგებიანო, მარა მე აგი ბერების მოგონილი მეგონა!

**პეტრიე** (მოუთმენლათ) რა იყო კაცო? ხომ აფერი იცი ახალი?

**სიმონიკა.** რავა რა იყო, ძამიავ, ორი წელიწადია დამარხულია და ახლა ქე ამომშპარა!

**პეტრიე.** რა ამომშპარა კაცო?

**სიმონიკა.** რა და ი რაცხა ბოიკოტია! ტყუილა შეინძრა მთელი გურია მის დამარხვაზე! რავა არ გახსოვს რაფერ გაანათა კრილოვმა მის დამარხვაზე მთელი გურია? ღმერთმა ნუ ქნას იგი რომ კიდავ დასამარხავი შეიქნეს, თვარა ისე განათლებულათ ვიღან დამარხავს!!

**პეტრიე.** რა იცი კაცო რომ ამდგარა?

**სიმონიკა.** რავა რა ვიცი ძამიავ, ეგერ გამოცხადებია ბარე სამ ვაჭარს.

**პეტრიე.** ვის და ვისა?

**სიმონიკა.** ესე ჭინჭარაძეს, გირგოლა თენიეშვილს და სილავანა ორაგველიძეს.

**პეტრიე.** კაცო, რეიზა ვერცერთს ვერ ვიცნობ, ა?

**სიმონიკა.** შენ, ძამიავ, თურმე ვერაკაცს ვერ იცნობ ოზურგეთს! ესიკა ჯინჭარაძეს მთელი გურია იცნობს. გზაზე რომ მივა და პირჯვარს მიიწერს იგია ესიკაი!

**პეტრიე.** ჰოო! იგი, ძმავ, მიდღემჩი საბოიკოტო იყო. იგი არ იყო მთავრობას რომ ვერცხლის ფულებია მოჭრაში ეხმარებოდა?

ერთი კია, ვინც ბევრი პიჯვრის წერა იცის, ყველა ეშმაკიდგან წაღებულია.

**სიმონიკა.** ძამიავ, იმიზა იწერენ პიჯვარს ბევრი ცოდვა რომ აქვენ კისერზე, თვარა მართალ და პატიოსან კაცს რა პიჯვრის წერა უნდა! თუ იცნობდი ერთი სოფრომაი რომ იყო ქალაქში გზა-გზა რომ ლოცვანს მიიკითხავდა, იგი თურმე ქვეყნის დამაქციერი იყო, რაც გურიელები დეიხოცა თურმე იმას მოაწამლიეს ყველა, ჭირისუფლებმა ქონება დაგვრჩებაო.

**პეტრიე.** ორაგველიძე რომელია?

**სიმონიკა.** რაფერი გულმავიწყი ყოფილხარ, ბიჭო! რავა არ გახსოვს დიდ-შაფათს რომ ერმილა ჯაყელიზა გოჭი მიეპარა და მთელი საპარასკევო შეაწუხეს იგინის ყიყინმა? იქინეი არ ვიყავით მე და შენ ყველს რომ ვყიდდით!

**პეტრიე.** ჰოო! მივხთი, მივხთი მარა თენიეიშვილი მაინც არ მაგონდება!

**სიმონიკა.** იგი ჩემა მტერმა არ იცის. ტინტილაის ნაჭამ კატას რომ გავს, ლეხაურის გზაზე რომ იდგა და ბოიკოტის დამარხვის დღეს რომ ნამეტარი სიხარულით საკუთარი სახლის დაწვას, რომ ამბობენ, რავა არ იცი!

(მათ შეუერთდება მესამე გლეხი — ლაზარე).

**ლაზარე.** გამარჯობა თქვენი! სეკრეტი გაქვან ეგება!

**სიმონიკა.** სეკრეტი კი არა, გუშინ საზოგადო წარმომადგენელმა დუნია მელექეთში გამოაცხადა აგი და რაღა სეკრეტია, ძამიავ.

**ლაზარე.** ბოიკოტზე ლაპარაკობდით თუ?

**სიმონიკა.** ჰო!

**ლაზარე.** ბიჭო, იცით ამბავი? ესიკას შამაიეზა უთხოვნია ბოიკოტის მოხსნაში დამეხმარე რამე და ოთხას მანეთს მოგცემო. შამაიე დარბის და ეძებს ბოიკოტს, მარა ვერ ნახა ჯერე.

**სიმონიკა.** შამაიე, ძამიავ, უწინაც ვერ ნახვიდა ბოიკოტს როცა იგი (ბოიკოტი) თავისუფლად დადიოდა, თვარა ახლა რაღას ნახავს. აგი ესიკამც კი იცის, მარა რა ქნას, ხომ გაგიგონია „წყალ წაღებული კაცი ფხასვს ეკიდებოდაო“. ხუმრობაა, ძამიავ, თუ!! კვირეში თითო ვაგონ დამპალ პურს ასაღებდა ესიკაი და ახლა თურმე ქე უურია ნატანებში ხუთი-ექვსი ვაგონი, ამომტანი ვერ უშოვნია. ან კი რათ გინდა ამომტანი, რავა მუშტარი არ გინდა? ვინ შევა მის დუქანში. ახლა ქალაქიდან მევალ. ცალი თვალით გევიხედე მისი დუქნისკენ. რომ გუულია ერთი კარი საქონელი არ დამიობოს, არმა გუუქროლოსო, თვარა კაცის სინსილა შით არ შედის. შესლა კი არა გახედვა მინდოდა და სანამდი კარგად არ მივიხედ-მოვიხედე არაკაცი მიყურებდეს მეთქინ, იმამდი პირი ვერ მოვიბრუნე მისი დუქნისკენ.

**ლაზარე.** შამაიე ოთხასი მანათიზა თვალებს დეითხრის, მარა მე მგონია მაინც ვერ ნახავს ბოიკოტს. აგერ ახალი პარტია რომ შედგა, რაცხა რევოლიუციონერებიაო, იმის კამიტეტის წევრები—ბეჟან, გიორგი და ერთიც მესამე ვინცხა უჩიტელი იგინი წევიდენ ჩვენი კამიტეტის საძებნათ თურმე აგერ სამი-ოთხი თვის წინ ხიდისთავში ჩამოხტენ თურმე ვინცხა კალანდაძის სამჭედურში და იკითხეს—შეიძლება სოციალდემოკრატების კამიტეტი იცი სად დგანაო. იმას უთხრობია, იგი ხვარბეთში უნდა იდგესო. წამოვიდენ თურმე ხვარბეთში. იქინეი უთხრობიან მთაზეა ახლა კამიტეტი სახაეროთო. იქინეც წასულარიან, მარა მის ნახვას აფერი ეშველა თურმე. რავა, კამიტეტმა თუ კამიტეტი ვერ ნახა, შამაიე ნახავს?

**პეტრიე.** მაგინს რათ უნდოდენ ნეტა კამიტეტი?

**ლაზარე.** თურმე ვასილას შერიგება უნდოდენ ს.-დემოკრატებთან!

**პეტრიე.** იმის მეტი გვერდი არ უუდგენ იგინს, რაის მეტი ვასილაი არ შეირიგონ. ჯერ დააქცევენ ქვეყანას და კარგად რომ გეილეწავენ ჯიბეებს, მერე ეძებენ კამიტეტს შეგვარიგეო. ახლა იეწვენ კუდის რიკი? აწე დიმიტრაი, კოწიე, ნიკოკიე და დავითაც კი მონახავე კამიტეტს მარა ველარ მოგართვი პატრიყანი!

**სიმონიკა.** ეჰ, ძამიავ, ჩვენ ჩვენი საქმე არ გაგვიკლევია, თვარა ქვეყნის საქმეს რა გააკლოვს. მშვიდობით, მშვიდობით და ვუყუროთ რაც იქნება!

**ლაზარე და პეტრიე.** მშვიდობით, მშვიდობით!

ლახვარი.






„საწყალი გლეხი მოსთქვამდა“

მოსთქვამს გლეხი საცოდავი:
„ამას კი არ მოველოდი!
დიდის ტანჯვით ჩამოვაგდე
ეს ოხერი მძიმე ლოდი.
მაგრამ ისევ დამიჯორგეს
წინანდელზე უფრო მეტათ
ქოხი საწყლათ მიილრიცა
გაემზადა ჩასალეწათ.
რა დასცარავს ამ სიმძიმეს
თუ არ ქარიშხალი მძლავრი,
მაგრამ ხალხმაც მიიძინა
და ამისი მტანჯავს ჯავრი.

№

## სიმღერა ხულიგანი პრიკაშჩიკისა.

თეოფილე ბერძენი ვარ,
აბრამაის პრიკაშჩიკი,
ვერ მჯობია ქვეყანაზე
ხულიგანი და სიშჩიკი.
მეუშაც ბევრი მაბარია
ვამუშავებ რკინის გზაზე,
დღეში ორმოცს გავატყავებ
თუ რომ კი ვარ გუნებაზე.
ჩემი დიდი ხაზეინიც
ხულიგანთა ობერია,
სულ თათრები ჩამოჰყარა
მუშები რომ აგვერია.
საჟენს სიგრძე მოვუმატე
მათ საჯაყი რამ ვუყავი,
და ამით რაც მოვიპარე
აგენტებსაც გაუყავი.
აბა ქრთამი ფეშქაშები
ლანქერივით მედინება,
რომ მეწვიოს, ჩემს სუფრაზე
ეშმაკსაც კი ელხინება.
ცოტა ეხლა მეშინია
სიზმრები მაქვს რაღაც ცუდი...
ვაჰ, ეშმაკმა რომ მიცხუნოს
იმ „მათრახის“ მწვავე კუდი!!..

კაფე.

## ქართველი მოღვაწეები.

—

**გრიგოლ ვოლსკი.** სამწუხაროთ ჩვენ ხელთ არა გვაქვს გ. ვოლსკის სრული ბიოგრაფია, რადგან ამ სამი თვის წინათ მარტო ორი დღით მიიცვალა და დაიწყეს თუ არა გაზეთებმა მისი ბიოგრაფიის წერა იმ წამსვე გაცოცხლდა.

**1) გრ. ვოლსკი, როგორც მწერალი.**

ვინც ქართული კითხვა-კი იცის, უეჭველია წაკითხული ექნება მშვენიერი ლექსი: „შენ გეტრფი მარად, შენ გეტრფი მარად“. ეს უკანასკნელი ლექსი ეკუთნის გრ. ვოლსკის კალამს. გარდა ამისა მას კიდევ აქვს ორიოდე ქართული ლექსი.

**2) გრ. ვოლსკი, როგორც ქართველი პატრიოტი.**

ქალაქი ბათუმი, სადაც წლევანდლამდე ვოლსკი სცხოვრობდა, უმთავრესათ ქრისტიან-მაჰმადიანი ქართველებით არის დასახლებული. მაგრამ აქაურ ქართველობას არ ჰქონდა შეგნებული „ჭეშმარიტი“ მამულიშვილობა და თუ არ ვოლსკი, ეს გრძნობა დიდხანს მიძინებული იქნებოდა.

ვოლსკიმ პირველათ შეაერთა ეს ძალები და მიიტანა იერიში ქალაქის თვითმართველობაზე. გაიმარჯვა კიდეც. 8 წელიწადს გამგეობის წევრათ ირიცხებოდა

და ამხნის განმავლობაში ბევრი რამ გააკეთა, რომლის შესახებ ქვევით მოგახსენებთ.

მას ჰქონდა ფრიად დიდი მიდრეკილება ქალაქის თაობისადმი და რამდენიმე სარმა განსვენებულ ასათიანსაც გამოჰკრა. ამ ნიადაგზე აღმოცენდა ორი პარტია: ელიავასი (ხონელები მეგრელები) და ვოლსკისა (დანარჩენი ქართველები). ამ ბრძოლაში ყოველთვის დამ·რცხებული გამოდიოდა·



გრიგოლ ვოლსკი.

უკანასკნელი არჩევნების დროს გრ· ვოლსკი გუბერნატორმა არ დაამტკიცა გამგეობის წევრათ, მაგრამ როდესაც ჟანდარმთა განყოფილებამ მისცა კეთილ საიმედობის მოწმობა და თითონ ნამესტნიკის კანცელიარია ინახულა, გუბერნატორის ჯიუტობა ძლეულ იქნა.

**3) გრ. ვოლსკი, როგორც ექიმი.**

უნივერსიტეტი ვოლსკიმ ექიმობის ხარისხით დაასრულა. როგორც გულახდილი მოქალაქე, აშკარათ აცხადებს მედიცინის არარაობას, თუმცა რამოდენიმე ხანს როტშილდის ქარხანაში ირიცხებოდა ექიმათ.

შთამომავლობა არ დაივიწყებს აგრეთვე იმ ღვაწლს, რომელიც ვოლსკიმ ქალაქის ახალ საავადმყოფოს დასდო. ავმაენებმა რაც უნდა ისა სთქვან, მაგრამ ცხადზე უცხადესია,რომ გრიგოლ ვოლსკის სულაც არ უნდოდა ზია-ბეგ აბაშიძის მომადლიერება მისი მამულის გასაღებით, როცა ქალაქის საავათმყოფოს ჭაობში ადგმიებდა. აქ ალბათ მედიცინური მოსაზრება ამოქმედებდა მას და არა ტაქტიკურ—პოლიტიკური.

**4) სკოლები და გ. ვოლსკი.**

სწავლა-განათლების საქმეს ბათუმში გრ. ვოლსკი ედგა სათავეში. სხვათა შორის იყო ქართული სკოლის კომიტეტის თავმჯდომარე და ყოველივე სასურველ ნაბიჯს წინსვლის საქმეში გზაზე ელობებოდა. მასწავლებლებსა და მის შორის მუდმივი ბრძოლა იყო და დიდის გაჭივრებით ჰგლეჯდენ ხელიდან მცირეოდენ საჭირო ცვლილებას.

ქალაქის სკოლებს ზოგჯერ საქეიფო დუქნებშიაც ადებდა. პედაგოგობის ნიჭი ამ სიბერის დროს გამოიჩინა. და თფილისის სააზნაურო გიმნაზიამ ქართული ენის მასწავლებლათ მიიწვია.

**5) ქალთა საკითხი.**

აღნიშნულ საკითხს გრიგოლ ვოლსკის ცხოვრებაში არა უკანასკნელი ადგილი უჭირავს, მაგრამ ვფიქრობთ ამის შესახებ უფრო ბ-ნს მ. ადა - შვილს შეეფერება წერა.

**6) სიკვდილი და გაცოცხლება გრ. ვოლსკისა·**

იესო ქრისტეს შემდეგ არავის უნახავს ასეთი სასწაული, როგორიც გ. ვოლსკის შეემთხვა. ერთ საღამოს ვიღაც ბოროტგანზრახვულებმა, რაღაც ბოროტი განზრახვით ესროლეს და მოჰკლეს გრ. ვოლსკი. ჩვენმა გაზეთებმა უკვე ასტეხეს ერთი მითქმა მოთქმა, რომ უცებ, მესამესა დღესა მძიმეთ დაჭრილი მგოსანი გონს მოვიდა და ორი კვირის შემდეგ სრულიად განიკურნა.

დღეს გრიგოლ ვოლსკი პეტრე სურგულაძის შემდეგ საუკეთესო მასწავლებლათ ითვლება სათავად-აზნაურო გიმნაზიაში.

ისტორიკოსი.



## „ეკალის“ „ლიუციფერს“

სპეტაკი აზრი გერ.ჩივნოს
სიბინძურეში ფლობასა:
„ზოგჯერ არა თქმა აჯობებს
ურიგო სიტყვის თხრობასა“.

ჩვენი „ეკლის“ „მეშაფათე“,
აზრით ვიწრო,
ლანძღვით ფართე,
მისდგომია წერის კილოს.
ერთობ ბინძურს,
სათაკილოს!!
ნეტავ რაზე დაგვემდურა
წერეთლიანთ
კარის მურა?
ან რას გავდა აკაკიზე
„ეკალში“ რომ
იბეუტურა?!
იქნებ ფიქრობს უბადრუკი,
აწ ჰადარა
არ ჰაბუკი,
რომ აკაკის აპეკუნობს
ეგრე საწყლათ
რომ წკმუტუნობს?
მაგრამ ძირს ეს აპეკუნი!
ეს მწერლობის
მაიმუნი!!!
გრძნობით ფულზე დახურდავდა
თანაც მყრალი
უდის სუნი.
ჩვენ გვესმის ის მუცლის გვემა
კურდღლის კიკომ
რო იგემა!!!
ჩვენ მას „კუდი მათრახისი“
ვუთავაზეთ
საკადრისი.
(მის „ლექციას“ სამართალით
ვუყურებდით
ეჭვის თვალით).
როს აეწვა ზურგის კანი,
გვერდზე მისდვა
ეს საგანი
და აკაკის მოეფარა
ეს ოხუნჯი
მეტიჩარა...
ახლაც მინდა გთხოვოთ ნება,
მივსცე რეგვენს
დარიგება,
რომ ახსოვდეს „მეშაფათეს“,
აზრით ვიწროს
ლანძღვით ფართეს.
მას ჩლუნგი აქვს კალმის წვერი,
სიტყვა ბილწი
თან უშვერი
და თუ ასე გააგრძელოს,
ჰადარა ვერ
ასახელოს.

**ეშმაკი.**



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბათუმის ავან-ჩავანი.

(საagენტო „კიწავა-ბლიკვაძე“-სი)

**ექიმთა პროტესტი.** ექიმთა საბჭომ დიდის ვაი ვაგლახით გამოარკვია: მომეტებული ხლოროფორმის მიღებით ადამიანი კვდება. ამისათვის დადგენილ იქმნა, რომ ეს საწამლავი ზომიერათ იქმნას ხმარებული. მარა ქალაქის სამკურნალოს ზოგიერთნი ექიმნი ამ დადგენილებას პროტესტს უცხადებენ.

— **ლექცია სავაჟო გიმნაზიაში.** ამ დღეებში აქაურ სავაჟო გიმნაზიაში წაიკითხება ლექცია იმის შესახებ, თუ რა საშვალება უნდა იხმარონ მოქალაქეებმა, რომ რომელიმე ოჯახში გარედან შემოსული სულით ავათმყოფი თავიდან მოიშორონ, ლექციას აქაური სამოქალაქო სასწავლებლის მასწავლებელი ბ-ნი გაბულოვი წაიკითხავს.

**ხმოსნების დადგენილებანი.** კავკასიის ყველა ქალაქები ამ ჟამათ ხოლერის მოლოდინში დიდ სამზადისს ეწევიან. ბათუმი კი ხოლერისგან უზრუნველ-ყოფილია. ხმოსანთა გასულ კრებზე საკმაოთ გამოირკვა და დადგინდა 1.—რადგან ქალაქი ირგვლივ ციხე სიმაგრეებით და მრავალი ჯარებით შემოფარგლულია, ხოლერა შიგ ფეხს ვერ შემოადგამს· ამიტომ ხოლერასთან საბრძოლველი ზომის მიღება უბრალო თავის ტეხათ სცვნეს, ხოლო ფულების გამოღება ზედ-მეტ ხარჯათ იქმნა აღიარებული და 2.—რადგან მთვარიანი ღამეების დრო მოახლოვებულია, რა დროსაც ქალაქი ბუნებრივათაც განათებული იქნება, ამიტომ ფარნები ქუჩებში საჭირო აღარ არის და აღარც ელექტრონი, ხოლო თუ უმთვარო ღამეები გამოერევა, მაშინ მკვიდრნი ამა ქალაქისანი სახლში მოიკალათებენ და ქუჩებში ნულარ გამოვლენ· უკეთუ ვინმე ითავხედებს და ზამთრის ცივ-ბნელ ღამეებში ქუჩაში გამოვა, იმათთვის დამზადებულთა ორმოები.



## წერილები ეშმაკისადმი.

**ძმაო ეშმაკო!** ჩვენკენ გამოვლა როგორღაც გეძნელება! საჭირო კია რომ შენის თვალით ნახო და დასტკბე **ფასანაურის** ხეობის მცხოვრებთა „ბედნიერი“ ცხოვრებით. განა აქ არა გვყვანან „საქმის“ კაცები?! აი ერთი მათგანი ი. კო – ძე რა მშვენივრათ მღერის ახალი მოდის სიმღერას:

„მარშანდელი დრო მერჩივნა  
ის ნეტარ სახსენებელი  
სამი კაცის სამსახურზე  
მარტოკას მეჭირა ხელი.  
ჩემს ხელთ იყო „უჩიტლობა“  
თუმც მისი რა გამეგება!?!  
დღეს ნასწავლი „ანა-ბანა“  
ხვალ-კი ისევ ავიწყდება.  
მევე ვიყავ მედავითნე  
სარწმუნოების ?ღერალი  
ბოქაულთანაც მე გახლდით,  
მისი ერთგული მწერალი.  
მაგრამ ჩემმა საქციელმა  
ყველას საქმე გაუჭირა,  
„პრისტავმა“ წიხლი ამომკრა  
აღარ მომცა შრომის ქირა.  
უჩიტლობის ადგილიდან  
გამომაბეს დიდი „ჟესტი“,  
და თაყვანის მცემელთაგან  
დამეკარგა ძველი „ჩესტი.“  
დავრჩი მარტო დიაკვნობის  
შემყურე და ანაბარა,  
ახლა ვდგევარ ტიბიკონთან  
და გავკივი წარა მარა.  
ცილს მწამებენ ზოგიერთნი  
„დანოსებს“ სწერს ილიაო  
სვინდისი, პატიოსნება  
მისთვინ უცხო ხილიაო.  
შეიძლება ასეც იყოს,  
ვეთანხმები აქ თვით მეცა  
მაგრამ ვერვინ დამიმტკიცებს  
ამის მოწამეა ზეცა.  
აი დადგა ღვინობისთვეც...  
„ნოვობრანცებს“ იბარებენ  
მათი მშობელ-ნათესავნი  
არძისათვის დამეძებენ.  
დიდხანს ძებნა როდი მინდა  
იქვე მნახვენ ატუზულსა  
თითო არძის დაწერისთვინ  
იძლევიან კარგა ფულსა.

მთიელი.

## ჩიბათიდან.

ძმაო ეშმაკო! როგორც შენი გულის ამბავი ვიცი უსათუოდ ეს ჩვენი ღვთისგან კურთხეული ჩიბათიც გენახვება. მაგრამ თუ არ გინახავს, იცოდე დიდი სანახაობა დაგკლებია ძმობას გეფიცები! შეძლება ეს უკანასკნელი მოსაზრება მართალია და ამიტომ საჭიროთ მიმაჩნია მცირედ მაინც გაგაცნო ჩვენი სოფლის ვითარება. ჩამოსვლისთანავე, ამხანაგო, როგორც ინტელიგენტი კაცი, უსათუოდ პლატონ ჭყონიას იკითხავ.

— არ იცი პლატონი?

როგორ არ იცი შე კაი კაცო?! ეს ის პლატონია, რომელიც 5 წელიწადს საზღვარგარეთ სწავლობდა უმაღლეს კურსებზე. ჩვენ გულის ფანცქალით მოველოდით მის ჩამოსვლას, ვფიქრობდით განათლებას შეაშუქებს ჩიბათის გლეხ კაცობაშითქვა; მაგრამ მოვსტყუვდით საბრალონი. ჩამოვიდა თუ არა ანარქისტობა დაიჩემა და ამბობდა მე იმდენზე „სოციალისტი“ კაცი ვარ, რომ სოციალდემოკრატების ფარგალში ვერ თავსდება ჩემი აზრები და იდეალიო. მაგრამ ნუ იტყვი, ამხანაგო, თურმე მონარქისტი ყოფილა. შეადგინა აქ ისეთი რაზმი, რომ ვერც ერთ პროპაგანდისტს ვერ გაატარებს თუ კი მოახერხა, რასაკვირველია. ერთი სიტყვით, ამხანაგო, გირჩევ ამოხვიდე და შენი ბედნიერი თვალებით შეხედო მის მშვენიერ რაზმს, როგორი მწყობრი სიარული ასწავლა!! როცა ალლუმს მორჩებიან, მერე გულზე ჯავრის გადასაყრელათ ადგილობრივ დუქანში კარტის თამაშს გამართავენ ხოლმე. ახლო მომავალში ჩვენი პლატონი, როგორც სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, საზღვარ გარეთ (ქალაქ კიშინევში) აპირებს წასვლას ლექციების მოსასმენათ. (არ ვიცი კარგათ პურიშკევიჩთან თუ კრუშევანთან).

თუ ოდესმე მგზავრათ გამოიარო და ჩაქურათ გამოწყობილ პაგონებიან კაცს შეხვდე ბერდანკით ხელში, ერიდე ძმაო იმას, გაფრთხილებ. ეს ნიკო ჭყონია იქნება, რომელიც ოზურგეთში სტრაჟნიკათ ირიცხება იმ პირობით, რომ ყველა მავნე მიმართულების პირებს მუხრუჭი მოუჭიროს და წარადგინოს სადაც ჯერ არს „განსათავისუფლებელი“ გადასახადის მოსახდელათ.

შენი ჩიორა.

## საგარეჯოდან.

პატივცემულო ეშმაკო! შენი მათრახის კუდმა თითქმის ყველა კუთხე მოიარა და თავისი სიმწვავე უჩვენა ქვეყანას, მხოლოთ ჩვენი გარეთ კახეთიღა დარჩა. თუ აქაც შენი მათრახის კუდი არ შემოიჭრა და თითო მაინც არ გადაუჭირა ისე თავს არ დაანებებენ:

საგარეჯოს მამასახლისი—შკოლის მტრობას;

გიორგიწმიდის მამასახლისი – ხალხის ცემას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

მღვდლები—კოდი პურის აკრეფას და ხალხის გატყავებას,

ნინოწმიდელი ქურდები—ქურდობას და ხალხის შეწუხებას,

დ—ო ბ—შვილი—შავი რაზმის შედგენას და ხალხის ხოცვას;

ხაშმელები—გარეშეებთან ბოიკოტს;

სართიჭალელი მედუქნეები—უზომოთ ხალხის გაყვლეფას; მედელექნეები—თვითნებობას და პასაჟირების გალანძღვას;

გორია, სოლიკო და ვანო—ხალხის ძარცვას წითელი რაზმელების სახელით.

„მახათი“.



# ჭყონიების წერილი ქუთათურ ხულიგანთადმი.

ჩვენო სისხლო, ჩვენო ხორცო,
ჩვენო ძმებო მეგობრებო,
ცხოვრებისა ნაძირალნო
და ბრწყინვალე ხულიგნებო!
როგორც სწერენ გაზეთებში,
გაგლვიძიათ ერთობ გვიან
„ქურდი მთხლეზე შებოჭესო“
თქვენზე ახლა რომ იტყვიან.
მეგობრებო, ჩვენც ხომ ასე
გაგვაბრიყვა ნიკოიამ;
ძროხა-ძროხათ შეგვიჭამა,
ფული ფულათ, ამ ავ-ყიამ.
სანამ გვქონდა მოსათალი
ნიკოლოზმაც ბევრი გვთალა
ახლა დაგვშპა, გასტრაჟნიკდა
და გაგვიხდა ხათაბალა.
დაგვრჩა პლატონ და ნიტიფო
მაგრამ რას გავს მათი ყოფა?
არც ფულები, აღარც რაზმი,
თავი არსად გაეყოფა.
არც იქით ვართ, აღარც აქეთ
სირცხვ-ლ ქმული ვით ღამურა,
ღმერთმა იგი შეაჩვენოს
ვინც ჩვენ ხალხი მოგვამდურა.
გაიხსენეთ ქართლის რაზმი,
ბრძენთ პარტია გურიაში,
გირჩევთ ისევ ნაცრის ქექას
თუ კი რამე დაგრჩათ თავში.

შხანკოლა.

---

# ბ. რედაქტორს.

რედაქტორო! გენაცვალე,
ფსევდონიმი შემიცვალე,
თორემ ისე დამეძებენ
რომ ველარსად დავიმალე.



# სოფელ სოფელ

(წერილი ეშმაკისადმი)

ძმაო ეშმაკო! თუმცა ცნობილია, რომ ადამიანს ეშმაკთან საერთო არაფერი აქვს და პირველი კიდეც ერიდება უკანასკნელს, მაგრამ ჩვენ შორის მიწერ მოწერა ამ შემთხვევაში გამონაკლისად ჩასათვალია. უნდა მოგახსენო მე უფრო მკითხველთანა მაქვს საქმე, ვიდრე შენთან, მაგრამ რადგანაც ჩემი წერილი მკითხველამდის ისე ვერ მიაღწევს თუ ჯერ შენს მათრახში არ გატარდა, ამიტომ ძალა უნებურად შენთანაც უნდა დავიჭირო საქმე.

მოგეხსენება, რომ ყველა დიდი საქმე ამ ქვეყნად ორშაბათიდან დაწყებულა, ამიტომ მეც ჩემს მოგზაურობას ამ დღიდან ვიწყებ. ამ დღეს **დ. ხიდისთავში** ვიყავი. განათლება-შეგნების მხრით ამ დაბას, შენც კი გაგიგონია, პირველი ადგილი უჭირავს გურიაში. მასთან საუკეთესო ცენტრათაც არის მიჩნეული და ეს არა მარტო ხალხის მიერ, არამედ ადმინისტრაციისაგანაც. ამიტომაცაა, რომ ამ უკანასკნელს მუდამ ამ დაბისაკენ აქვს მიქცეული თვალნი და ყურნი თვისნი.

ამას წინათ სადღაც გზა-შარაზე, ვიღაცაებმა, რაღაც მიზეზისა გამო, მოჰკლეს სტრაჟნიკები, ხოლო 2000 მან. ჯარიმის გარდახდა კი ხიდისთავს (ბას. საზ.) მიუსაჯეს. რითი დაიმსახურა ხიდისთავმა ადმინისტრაციის ასეთი ყურადღება? ერთი პოლიციელის აზრით პირველი სოციალისტი ქვეყანაზე დ. ხიდისთავში გაჩნდა. რამდენათ მართალია ეს შენ იცი, ხოლო ის კი ცხადზე ცხადია, რომ საზოგადოთ ხიდისთაველებს სოციალისტობისაკენ ძალიან დიდი მიდრეკილება აქვთ. ადმინისტრაციის საყურადღებოთ კი უნდა მოვიხსენიო, რომ ჯარიმა გადასახადები სოციალისტურ მიდრეკილებას ხალხში კი არ ფხვრის-პირიქით აღიძებს და აფართოვებს.

სოციალისტურმა მიდრეკილებამ ამ ბოლო ხანს **ს. ბუკნარშიაც** იჩინა თავი. კაი ხანია აქ მოქმედობს ერთი „ჯგუფი“ რომელიც თავის თავს ეგრედ წოდებულ „სოციალისტ-რევოლუციონერ პარტიის ნაწილად აღიარებს. წასულ დღეებში ამ „ჯგუფს“ ერთი საჯაეო და თანაც სამწუხარო საქმე დაემართა: ერთმა მისმა წევრმა მოჰკლა მეორე წევრთაგანი, რომლის წვრილი ცოლშვილი ობლათ უპატრონოდ დაჰყარა. მკვლელობის მიზეზი, როგორც ამბობენ, „პარტიული საკითხის“ გამწვავება ყოფილა. საზოგადოთ, ხსენებულ „ჯგუფს“ საჯაეო საქმე ხშირად ემართება ხოლმე' მაგრამ ეს მას თავისი „გადამეტებული სოციალისტობით“ მოსდის, ვიყავი ბუკნარშიც, რომ ადგილობრივ გამეგო ყველაფერი ამ ამბის შესახებ და აქიდგან გიახელით **ს. ვანში** (აკეთის საზოგადოება) სოფლის პირობაზე, ესეც კაი პუნქტი გახლავთ; მაგალითად, ყამსა წარსულსა აქ ააგეს ქვის დიდი ეკლესია, რომელიც 15000 მ. რომ დაჯდა, ან ყამსა აქ აგებენ ქვის ორკლასიან სამრევლო სკოლას, რომელიც უნდა დაჯდეს 10,000 მან, რამდენსაც არ ეჩიჩინებიან ამ სოფლის მცხოვრებთ, რომ სამრევლო სკოლა ნუ უნდათ, რომ იმ დროს როცა ცაი და ქვეყანა სკოლის ეკლესიისაგან განთავისუფლებაზე ლაპარაკობს, სამარცხვინოა და თან სამწუხაროც ასეთი სკოლის დაარსება, და ურჩევენ-ნაცვლად იმისა ააგონ ორ კლასიანი სამინისტრო სკოლა, არ იქნა და არა, ვაინც ვერ დაჯერეს გაჯიუტებული ვანელები. რა თქმა უნდა ყველა ეს სიბნელისა და შეუგნებლობის ბრალია, რადგანაც ამ სოფლის მცხოვრებთა ორი მესამედი სასულიერო წოდებას ეკუთვნის.

ვანიდგან პირდაპირ **ჩოხატაურისკენ** გავსწიე. ესეც კაი დაბა გახლავთ და ბევრი რამეებითაც შესანიშნავი: მაგალითად ძველად მის არე მარეზე მოსახლობდნენ წარსულში დიდებულნი გვამნი თ. ერისთავები, ამ ხანათ ის გახლავთ სამყოფ-საბრძანებელი აწმყოსი დიდებულის გვამის აწ განსვენებული სტრაჟი ქუცურასი და მრ. სხ. ჩოხატაურში მომიხდა მისვლა სწორედ იმ დროს როცა აქედან იგზავნებოდა სოფლებში გუბერნატორის ახალი „ცირკულიარი“, რომლითაც უბრძანებენ სოფლებს: ეხლავე დაადგინონ პრიგოვორები ხუთხუთი „სვერხშტატნი“ ქვევითი სტრაჟნიკის დაქირავების შესახებ არა ნაკლებ 300 მ. წლიური ჯამაგირით. სტრაჟნიკები შეიარაღებული უნდა იქნან ვინტოვკითა და ას ასი პატრონით, რომელთა საფასურათაც 10 მ. 51 კ. თითოზე პრიგოვორთან ერთად სოფელმა უნდა მიიტანოს სადაც ჯერაარს. ეს „სტრაჟაო“, ამბობს „ცირკულიარი“, უებარი საშვალებაა

იმისა, რომ წესიერება და მშვიდობიანობა დაცულ იქნასო. მართალი უნდა მოგახსენო, ამ ,,სვერხშტატნი'' სტრაჟნიკების ამბავმა ძალიან გამაკვირვა. ვინ ვისგან უნდა დაიცვან იმათ? გლეხები კაზაკებისა და „შტატნი“ სტრაჟნიკებისაგან, მეორენი პირველთაგან, თუ პირველნიც და მეორენიც ვიღაც მესამისაგან? მაგრამ ვინ უნდა იყოს ეგ მესამე? შეიძლება, ძმაო ეშმაკო, შენს წინადმდეგაც იყოს მომართული ეს ზომა და ამიტომ გაფრთხილებ: ვაგლახათ არსად მოგასწრონ, თორემ იმათი მათრახის კუდიც საკმაოდ მწვავეა!.. ნახვამდის!

შენი ონისიმე.



### მ ი ბ ა ძ ვ ა.

ტყესა სცვივა ფოთოლი,
აღარც მერცხალი სჭყივის,
მგლოვიარე ქართველი
ცრემლებსა აფრქვევს, სტირის.

სტირის მგოსანს კი არა,—
მგოსნის „ჭირისუფალსა“,
რომელიც გულ-ბოროტი
ვერ არჩევს ბრუნდ-მართალსა.

ნ. ზომლეთელი.



### უცხო სიტყვების ახსნა

(იხილე „ეშმაკის მათრახი“ № 3)

**სასყიდელი**— ოზურგეთის ციხეში შესვლა გამოსვლა. შესვლა უსასყიდლოთ, ხოლო გამოსვლა კი სასყიდლითა დიდითა.

**სასწაული**— კარგი ქართული წარმოდგენა. სიმართლე ,,ისარის'' ფურცლებზე.

**სასწორი** — ვაჭრების გულის ძგერა.

**სატანა**— ,,ეშმაკის'' ბიძაშვილი.

**საფეთქელი** — დასაზელი ალაგი.

**საფრთხობელა**— ,,სოციალისტ-,,ბურჟუაზისტ-ფედერალისტები.''

**საქმე**— მაქნარება.

**საქვეყნო**— ,,უპარტიო პოეტი.''

**საშიშარი**— ხიშტებზე ჯდომა.

**საჭმელი**— მსუქანი გაზეთი.

**საჯოგე** — რედაქცია.

**სეირი**— ომი.

**სენაკი**— მივიწყებული ქალაქი.

**სესხი** – რუსეთის ბიუროკრატიის ტვინის მატლი.

**სეფისკვერი**— ხუცების საუზმე.

**სვიმონ** — დღე ქარიანი.

**სინდისი**— სამხიო საჭმელი.

**სიბრალული**— სისხლის სმა.

**სიგიჟე**— ბროშურების ჯლაბნა.

**სიდედრი**— გულის სახეთქი საქონელი.

**სიზმარი**— თავისუფლება.

**სიმაძღრე**— მიუწდომელი მდგომარეობა.

**სიმსხვილე**— სემინარიიდან გამოძრომა „ივერიაში'' შეძრომა, ,,ივერიიდან'' გამოძრომა ,,ცნობ. ფურცელში'' გადაძრომა, იქიდან კიდევ ,,ისარში'' გადაძრომა და რუმბივით გამსხვილება.

**სიმდიდრე**— ადამიანის გახამხეცებელი საქონელი.

**სიმთვრალე**— ,,რუსთა კავშირის'' წევრობა.

**სიმინდი**— გურულების საცოხარი.

**სიმყრალე**— ,,ისარ''—,,ნიშადურის'' ორიგინალური წერილები.

**სინათლე**— დევნილი ყაჩაღი.

**სისხლი**— რუსული წყაროები

**„სიტყვა“**— დაცხინკვება.

**სიყვარული** — დედაკაცების სალაყბო საგანი.

**სიცილი**— ,,ნიშადური''-ს წაკითხვის დროს შეხიცინებით გაცინება.

**სიცოცხლე**— ორ კაპეიკიანი ტარანი.

**სიცრუე**— საპოლემიკო ქამანდი.

**სიძე**— დაქცეული ოჯახი.

**სლოკინი**—,,მად-ლი,,-ს ხსენება.

**სოსიკო**— ძველი წიგნების წმენდა.

**სორო**— ,,სემეინი'' ნომრები და ,,სორაპნის სტამბა.

**სოფელი** — მხედრობათა საალუმო ალაგი.

**სოფრონ**— კანცელიარიის მტვერი.

**სპერმატინი**— ახობაძის ჯორი.

**სრესა**— სხვის ზურგზე სიარული.

**სტეფანე**— ენის ქავილი.

(შემდეგი იქნება)

ქაჯი.



### წერილი ილ. კოპალეიშვილს.

ამხ. ილია! შენმა გაქცევამ ძლიერ შეაწუხა ჩვენი კეთილი ბოქ. გაბუნია. მეორე დღესვე მიელო ქაღალდი მაზრის უფროსისაგან შენი განთავისუფლების შესახებ, მაგრამ საუბედუროთ შენ ციხეში არ აღმოჩნდი.

ახლა გთხოვ შეიწყნარო ჩემი თხოვნა: მოხვიდე და გამოეცხადო ადგილობრივ ადმინისტრაციას.

ის დროებით გადაყენებული შვიდი კაცი, რომლებიც ვალდებულნი არიან შენ ძველ ბინაზე მიგიყვანონ, ჯერ-ჯერობით ღამეს შენსას ათევენ და შენს მიტოვებულ სახლ-კარს სდარაჯობენ.

გარდა ამისა ამბობენ იმ შვიდ კაცს სიკვდილით დასჯიან, რადგან ერთი ვიბორშჩიკი ციხიდან გააქცია და ხმა დააკარგვიაო.

გარდა ამისა ადგილობრივი ადმინისტრაცია ძლიერ სწუხს შენი ჯან-მრთელობის შესახებ.

კვალად გთხოვ ნუ სტანჯავ ამ ხალხს და გამოეცხადე, რომ გული დაიმშვიდონ.

შენი პურიშკევიჩი.



### „ეშმაკის მათრახის“ ფოსტა.

**ჭიათურა**—ქაჯს. თქვენი წერილი გოკიელოვისა და ნაცვლიშვილის შესახებ არ დაიბეჭდება. რაღა ლაპარაკი უნდა, თუ მოპოებულ უფლებებს გარემოების მიხედვით უკანვე დაიბრუნებენ ვაჭრები, ხელ-ახალი ბრძოლა დაგჭირდებათ, რომ კვალად აღადგინოთ თქვენი უფლებები. ვაჭრისთვის რასაკვირველია სამუშაო დღე რაც მეტი იქნება, მით უკეთესია. დიახ, ბრძოლაა საჭირო.

**ქუთაისი**—რიონელს. ქუთათური კადეტების ამბავ- „ცისკარიც“ საკმაოთ არკვევს და რაღა საჭიროა იმათი მურიანი სახე კვლავ გამოვამზეუროთ ქვეყნის სამასხაროთ. ყოველ შემთხვევისათვის თქვენ წერილს ვინახავთ.

**სამტრედია**—ვარგებულს. თქვენ დალოცვილო, ფსევდონიმ-ს შესაფერი ლექსი რომ გამოგვეგზავნათ დაგვერწმუნეთ, რომ დიდის სიამოვნებით დავბეჭდავდით, მაგრამ ლექსი პირდაპირ წინაალმდეგია თქვენი ფსევდონიმისა.

**ბაღდადი**—სექტანტს. თქვენს პატივცემულობას ალბათ ადრესი შეჰეცვალათ. გადაჭარბებულ შხამზე გეტყობათ, რომ „ნიშადურის“ კორესპოდენტი უნდა იყოთ. მაგრამ ეს ლექსი იმდენათ „პოეტურია“, რომ ვგონებ არც განუკითხავი „ნიშადური“ მისცემს მას ადგილს.

**რაჭა**—ზემოურს. სახელისა და გვარის მოწერა რომ დაგავიწყდათ, იქნებ ასე სიმართლეც გადაგავიწყდათ. პირადათ რომ გიცნობდეს რედაქცია, მაშინ შეიძლებოდა ასეთი საპასუხისმგებლო წერილი დაგვებეჭდა.

რედაქტორ-გამომცემელი
თ. ბოლქვაძე.

ელექტრომბეჭდავი ამხანაგობა „შრომა“ მიხეილის პროსპექტი, № 65.